


ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტი ახორციელებს დედოფლის გორის არქეოლოგიური ძეგლის და გარემოს კომპლექსურ კვლევით პროექტს.

2013 წლის 19-21 მაისს, გაიმართა გეოგრაფიულ-არქეოლოგიური ექსპედიცია დედოფლის გორის არქეოლოგიურ ძეგლზე.



ექსპედიციის მიზანი იყო, ტოპოგრაფიული აგეგმვა და საყრდენი GPS წერტილების დასმა, დედოფლის გორასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

პირველ დღეს, ტოპოგრაფიული აგეგმვა და საყრდენი წერტილების დასმა მოხდა უშუალოდ დედოფლის გორაზე, ხოლო მეორე და მესამე დღეს, დედოფლის გორის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ტოპოგრაფიული აგეგმვა განხორციელდა დიფერენციალური GPS - ების ბაზა-როვერ (Real Track kinematic) სისტემით.

საველე მონაცემების დამუშავების შედეგად, შეიქმნება დედოფლის გორისა და მისი მიდამოების მაღალი რეზოლუციის 3D მოდელი.

ექპედიციაში მონაწილეობდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები.